მე-3 კლასი

სავარჯიშო 1. ტექსტის გააზრება - ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს: (30 ქულა)

ჭრიჭინა და ჭიანჭველა

დაჭრიჭინებდა, დახტოდა
ჭრიჭინობელა პატარა
და უშრომ - უზრუნველობით
მთელი ზაფხული ატარა.

მაგრამ ბოლო დროს ზამთარმა
თვალი რომ გამოუჭყიტა
შეკრთა მოცლილი მღერალი
და შიშმა წელი მოსწყვიტა.

კარზე მიადგა ჭინჭველას
ვედრებით: „ჩემო ნათლია!
ნუ მომკლავ გაზაფხულამდე
და გამომკვებე, მადლია!“

ჭინჭველამ ჰკითხა: „ზაფხული
როგორღა გაატარეო?“
- ვილხენდი, გამოვაყრუე
ჭრიჭინით არემარეო“.

- „მაშ, თუ ეგრეა, რადგანაც
ზაფხულში იფარფაშეო,
მიბრძანდი ეხლაც და სინჯე-
იხტუნე, ითამაშეო!

1. ნაწარმოების მოქმედი პერსონაჟები არიან:
   ა. ჭიანჭველა და ფუტკარი ბ. ჭრიჭინა და ჭიანჭველა გ. ჭრიჭინა და ფუტკარი
2. ვის შესახებ წერს ავტორი: ,, დაჭრიჭინებდა, დახტოდა ჭრიჭინობელა პატარა.“
   ა. ჭიანჭველას შესახებ ბ. ჭრიჭინას შესახებ გ. ზაფხულის შესახებ
3. პირველი სტროფის მიხედვით, რას აკეთებდა ჭრიჭინა ზაფხულში?
   ა. სანოვაგეს აგროვებდა. ბ. დროს უზრუნველად ატარებდა. გ. ჭიანჭველას ეხმარებოდა.
4. რამ შეაკრთო ჭრიჭინა?
   ა. ზაფხულის მოახლოებამ. ბ. ზამთრის მოახლოებამ. გ. გაზაფხულის მოახლოებამ.
5. მეორე სტროფის მიხედვით, ვინ არის ,,მოცლილი მღერალი“?
   ა. ჭიანჭველა ბ. ჭრიჭინა გ. ზამთარი
6. ვინ ვის ებუნება: ,,ჩემო ნათლია! ნუ მომკლავ გაზაფხულამდე და გამომკვებე, მადლია!“
   ა. ჭიანჭველა ჭრიჭინას ბ. ჭრიჭინა ჭიანჭველას გ. ჭიანჭველა ზამთარს
7. რა ჰკითხა ჭიანჭველამ ჭრიჭინას?
   ა. „ზაფხული როგორღა გაატარეო?“
   ბ. ,, ნუ მომკლავ გაზაფხულამდე და გამომკვებე, მადლია!“
   გ. ,, - ვილხენდი, გამოვაყრუე ჭრიჭინით არემარეო“.
8. რა უპასუხა ჭრიჭინამ ჭიანჭველას?
   ა. „ზაფხული როგორღა გაატარეო?“
   ბ. ,, ნუ მომკლავ გაზაფხულამდე და გამომკვებე, მადლია!“
   გ. ,, - ვილხენდი, გამოვაყრუე ჭრიჭინით არემარეო“.
9. დაასრულეთ წინადადება: ,,ჭრიჭინა დახმარებას ითხოვდა, თუმცა ___ .“
   ა. ჭიანჭველას არ შეებრალა. ბ. ჭრიჭინას არ შეებრალა. გ. ჭრიჭინას შეებრალა.
10. ნაწარმოების მიხედვით, ჭრიჭინა არის:
   ა. მშრომელი ბ. ზარმაცი გ. ბეჯითი

სავარჯიშო 2. ლექსიკა, ფრაზეოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი: (30 ქულა)

11. რომელია სწორი შესიტყვება?
ა. ჭრიჭინა ჭრიჭინებს ბ. ჭიანჭველა ჭრიჭინებს გ. ჭრიჭინა გალობს
12. ,,ჭრიჭინობელა“ იგივეა, რაც
ა. ჭიანჭველა ბ. ჭრიჭინა გ. ცა
13. ,,და უშრომ - უზრუნველობით მთელი ზაფხული <u>ატარა</u>.“ ,,ატარა“ ანუ
ა. აქცია ბ. გაახარა გ. გაატარა
14. როგორ გესმით ,,წელი მოსწყვიტა“ წინადადებაში: ,,შეკრთა მოცლილი მღერალი და შიშმა <u>წელი მოსწყვიტა</u>.“ ?
ა. ძალა წაართვა ბ. გაახარა გ. გაიქცა
15. რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა წყვილი?
ა. მოცლილი, უქნარა ბ. შიში, სილამაზე გ. ზამთარი, ზაფხული
16. რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვათა წყვილი?
ა. ვედრება, მუდარა ბ. დრო, მადლი გ. მთელი, ნახევარი
17. ,,გამოკვება“ ანუ
ა. გამოკემსვა ბ. საკვების მიცემა გ. გამოღება
18. როგორ გესმით ,,არემარე“? ,, - ვილხენდი, გამოვაყრუე ჭრიჭინით <u>არემარეო.</u>“
ა. მხოლოდ მთები ბ. მხოლოდ გზები გ. მახლობელი ადგილები
19. შემოხაზეთ ხაზგასმული სიტყვის განმარტება:

„მაშ, თუ ეგრეა, რადგანაც
ზაფხულში <u>იფარფაშეო</u>,
მიბრძანდი ეხლაც და სინჯე-
იხტუნე, ითამაშეო!“

ა. თავდაუზოგავად შრომა. ბ. ხშირი ცურვა. გ. თავისი ნება-სურვილის მიხედვით მოქმედება.

20. ,,მიბრძანდი ეხლაც და სინჯე-
იხტუნე, ითამაშეო!“

,,სინჯე“ ანუ
ა. გაუშვი ბ. მიირთვი გ. სცადე

სავარჯიშო 3. გრამატიკული ნაწილი - შემოხაზეთ სწორი პასუხი: (30 ქულა)

21. რომელ წინადადებაშია უფრო მეტი მარცვალი?
ა. დაჭრიჭინებდა, დახტოდა ჭრიჭინობელა პატარა.
ბ. შეკრთა მოცლილი მღერალი.
გ. გამოვაყრუე ჭრიჭინით არემარეო.
22. შემოხაზეთ სწორად დამარცვლილი სიტყვა:
ა. ჭრი-ჭ-ინობ-ელ-ა ბ. დახ-ტო-და გ. ზა-ფ-ხუ-ლი
23. რომელი სახელი აღნიშნავს ერთზე მეტ საგანს?
ა. შიში ბ. ქუდი გ. ჭიანჭველები
24. რომელია მოქმედების გამომხატველი სიტყვა?
ა. იხტუნე ბ. თვალი გ. არემარე
25. შემოხაზეთ არასწორად დაწერილი სიტყვა:
ა.ზღაფული ბ. ატარა გ. იგი
26. რა კითხვა დაესმის წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას?

,,ჩემო <u>ნათლია</u>! ნუ მომკლავ გაზაფხულამდე და გამომკვებე, მადლია!“

ა. რამდენი? ბ. ვინ? გ. როგორი?
27. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშანი სწორად დასმული?
ა. შეკრთა მოცლილი მღერალი
ბ. დაჭრიჭინებდა დახტოდა ჭრიჭინობელა პატარა
გ. შეკრთა მოცლილი მღერალი, შიმშილმა წელი მოსწყვიტა.

28. როდის ხდება წინადადებაში გადმოცემული მოქმედება? ,, - ვილხენდი, გამოვაყრუე ჭრიჭინით არემარეო“.
ა. ახლანდელ დროში ბ. წარსულ დროში გ. მომავალ დროში

29. რა კითხვა დაესმის წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას?
,,შეკრთა <u>მოცლილი</u> მღერალი და შიმშილმა წელი მოსწყვიტა.“
ა. როგორი? ბ. რა? გ. რამდენი?

30. რომელ სიტყვას არ დაესმის კითხვა ,,რა“?
ა. თვალი ბ. წელი გ. კანკალებს

სავარჯიშო 4. ზოგადი კითხვები - შემოხაზეთ სწორი პასუხი: (10 ქულა)

31. დაასრულეთ ანდაზა: ,,ზარმაცისათვის ყოველი დღე ___ .“
ა. დღეაო ბ. უქმეაო გ. შრომააო

32. დაასრულეთ ანდაზა: ,,კარგ მთქმელსა კარგი ___ .“
ა. მთქმელიც უნდაო ბ. გამგონიც უნდაო გ. ისიც უნდაო

33. დაასრულეთ ანდაზა: ,, მგელი არ მოიშლის მგლობასო, კაი ყმა ___ .“
ა. მგლობასაო ბ. ჩხუბსაო გ. მამაცობასაო

34. ,,ხეს ატარებს თავით,
დადის,
დარბის,
ბღავის...
ხე არ ისხამს ნაყოფს.
ფოთოლსა და ყვავილს.“
გამოცანის პასუხია:
ა. ვაშლი ბ. ატამი გ. ირემი

35. ,,თავი უგავს სავსე მთვარეს,
მარცვლები აქვს ერთობ ხშირი,
დგას ამაყად და მთელი დღე
მიუპყრია მზისკენ პირი.“
გამოცანის პასუხია:
ა. მთვარე ბ. მზესუმზირა გ. ბროწეული

ლიდერი კომპანიების შეკითხვები მომავალ ლიდერებს:

ბონუს დავალება - შემოხაზეთ სწორი პასუხი (10 ქულა)

1. **“ლიბერთის” კითხვა:**
ბებო ,,ლიბერთი ბანკში“ წავიდა პენსიის ასაღებად.
მოცემულთაგან რომელ სიტყვას დაესმის კითხვა ,,სად“?
ა. ბებო ბ. ,,ლიბერთი ბანკში“ გ. წავიდა

2. **“ბიუ-ბიუს” კითხვა**
რამდენი მარცვალია წინადადებაში?
,,დავითს ძალიან უყვარს ,,ბიუ-ბიუს“ ქათმის ხორცი.“
ა. 15 ბ. 36 გ. 40

{ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალების ქულა ძირითადი დავალების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.}